რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 5 იანვარი 1918 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола“. კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები—რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола“. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 3 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბალშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 3

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

### ყოველ დღიურ გაზეთებზე

### „ბრძოლა“, „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ზნამია ტრუდა“-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბალშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე“ ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს **24** მან., ნახევარი წლით—**12** მან., ერთი თვით—**2** მან.

პირველ იანვრიდან ხსენებულ გაზეთების კანტორა მოაწყობს გაზეთების თფილისში ხელის მომწერთა ბინაზე მიტანას. მხოლოთ თავის დროზე გაზეთის მიღების მსურველთ გადახდებათ თვეში 50 კაპ. გამოცხადებულ ხელმოსაწერ ფასებზე მეტი

## მომენტი.

### 3. რევოლუციის მიზეზები.

რა იყო მიზეზი ოქტომბრის რევოლუციის? რამ გამოიწვია 8 თვის შემდეგ ახალი გადატრიალება?

თებერვლის რევოლუციამ წამოაყენა ისეთი საკითხები, რომელთა გადაჭრა აღემატებოდა ძალა-უფლებით აღჭურვილ კლასის—ბურჟუაზიის ძალღონეს. მსოფლიო ომმა ძირიანათ შეარყია ეკონომიურ-პოლიტიკური საფუძველი რუსეთის სახელმწიფოსი, რევოლუციამ ქვეყნის ახალ მესვეურს წინ დაუყენა ზავი, მიწის საკითხი, წარმოების მოწესრიგება და სხვა დიდი რეფორმები. აქედან დაიბადა უდიდესი წინააღმდეგობა: ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავე ხელთ ჩაუვარდა ისეთ კლასს, რომელსაც ობექტიურათ არ შეეძლო მის წინ დაყენებული კითხვების გადაჭრა, რადგან ყოველივე ეს ძირს უთხრიდა მის არსებობას. ამან შექმნა სრული უნაყოფობა რვა თვის განმავლობაში გაბატონებულ პოლიტიკისა. რომ არც ერთი კითხვა ამდენ ხანს ხალხის სასარგებლოთ არ გადაიჭრა, ეს ბრალი იყო ბურჟუაზიის და აგრეთვე მისი უბედურებაც. ბურჟუაზიამ შესძლო ქვეყნის სათავეში მოქცევა, მაგრამ ვერ შესძლო მისი გაძღოლა. ისტორიულმა აუცილებლობამ მას მისთვის შეუძლებელი საქმე დააკისრა და ამ წინააღმდეგობამ შეგოჭა ცხოვრების წინმსვლელობა.

მაგრამ ცხოვრების შეჩერება შეუძლებელია. აუცილებელი შეიქნა თებერვალში შექმნილ წინააღმდეგობის მოსპობა და მით ცხოვრების შეუფერხებელი განვითარების უზრუნველყოფა. ეს მოხდა ოქტომბრის დღეებში, როდესაც პოლიტიკური ძალა-უფლება მიენიჭა იმ კლასს, რომელიც არა თუ არ უფრთხის თებერვლის რევოლუციის მიერ წამოყენებულ რეფორმებს, არამედ მთელ თავის არსებობას და მომავალს მათ რადიკალურ გადაჭრას უკავშირებს. ეს კლასია პროლეტარიატი და ულარიბესი გლეხობა. ამ კლასის ხ[illegible]ში პოლიტიკური ძალა-უფლების [illegible]ით მოისპო თებერვალში შექმნ[illegible] წინააღმდეგობა, ნაცვლათ ამისა დამყარდა სრული თანხმობა მესვეური კლასის მისწრაფებასა და ქვეყნის საერთო, ძირითად საკითხებს შორის.

ამას აუცილებლათ უძღოდა წინ დიდი ბრძოლა, მზადება და მუშაობა. პროლეტარიატი თებერვლის დღეებიდან ოქტომბრამდე თავგანწირულ კლასიურ ბრძოლას აწარმოებდა და მხოლოთ ამ ბრძოლით მიაღწია თავის გამარჯვებას. რა გინდ უნიადაგოც ყოფილიყო ბურჟუაზიულ-კოალიციური მთავრობა, ის თავის ნებით არ სთმობდა თავის ბატონობას და ყოველ ზომას იღებდა მის შესანარჩუნებლათ, თუნდაც მას ქვეყნის დაღუპვაც მოჰყოლოდა. ცხადია, აქ კლასიური ბრძოლა აუცილებელი იყო და თებერვლიდან ვიდრე ოქტომბრის გადატრიალებამდე ჩვენ ვხედავთ ამ ბრძოლის უმაგალითო განვითარებას.

ჟორდანია მხოლოთ თებერვლის დღეებში ხედავს კლასიურ ბრძოლას და შემდეგი მოძრაობა პროლეტარიატისა კი მას მიაჩნია სტიქიონურ თარეშათ, რომელსაც წინ არაფერი არ ელობება.

ის სწერს: „ყველა რევოლუციებში, როცა მასსა თავისუფლდება, როცა მას არავითარი დაბრკოლება არ ელობება წინ, იგი ცდილობს სავსებით განახორციელოს თავის მიზნები, იგი სტიქიურათ მიისწრაფვის წინ. იგი ანგარიშს არ უწევს სინამდვილეს, ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას და მაქსიმალიზმში ვარდება“.

ასე იოლათ აღწევს თურმე პროლეტარიატი თავის გამარჯვებას. ის თავისუფალია, წინ არაფერი არ ელობება და ეს იმ დროს, როცა ბურჟუაზია გაბატონებულია. ოქტომბრის გადატრიალების მიზეზათ საკმარისათ რომ ჩავთვალოთ ეს ახსნა, გაუგებელი რჩება, რატომ ოქტომბრამდე არ იჩინა მან თავი? რამ შეაჩერა რვა თვეს ეს „თავისუფალი“ ხალხი, ან რატომ ოქტომბრამდე არ გამოიღო მაქსიმალიზმმა თავისი ნაყოფი?

ჟორდანია თითქო გრძნობს, რომ მასის მაქსიმალიზმი არ კმარა ოქტომბრის გადატრიალების მიზეზათ და მას სხვა მოსაზრებაც მოჰყავს, რომელიც უფრო უახლოვდება სინამდვილეს:

„განვლო რვა თვემ, მაგრამ ძირითადი საკითხები კვლავ გადაუჭრელი დარჩა. ისტორიამ არ იცის მაგალითი, რომ რევოლუციის დროს ხალხს 8 თვე ეცადოს. უტოპია იყო იმაზე ფიქრი, რომ რუსის ხალხი მათრახებს რომ არ დაინახავდა, კიდევ დაიწყებდა ცდას, თუმცა იგი მეტათ მომთმენი ხალხია. ეს გარემოება მიერეკებოდა მათ ბალშევიკებისაკენ. ბალშევიზმის სტიქია თანდათან ძლიერდებოდა. ამის წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელი იყო მხოლოთ მთავარ კითხვების გადაჭრით. მაგრამ ეს საკითხები ვერ გადასჭრეს და ის პარტიები და საბჭოები, რომლებიც წინათ სარგებლობდენ მასის ნდობით, ნიადაგს თანდათან კარგავდენ“.

ამ ამონაწერში ჟორდანია აღიარებს, რომ ძირითადი საკითხები არ გადიჭრა; მათი გადაუჭრელათ დატოვება კი არ შეიძლებოდა. რა უნდა მოყოლოდა ასეთ მდგომარეობას? ორში ერთი: ან ქვეყნის დაღუპვა, ან რევოლუცია. ოქტომბრის დღეებშიაც სწორეთ ამ რევოლუციამ გაიმარჯვა. ჟორდანია სცნობს მიზეზს ოქტომბრის რევოლუციისას, ხოლო არ სცნობს თვით რევოლუციას. და ეს იმიტომ მოსდის, რომ თვით მიზეზიც მას ცალმხრივათ აქვს გაგებული. მას არა აქვს შესაფერათ დაფასებული, თუ რატომ ვერ გადასჭრა ძველმა მთავრობამ რევოლუციის ძირითადი კითხვები. მას შეუმჩნეველი რჩება, რომ ბურჟუაზიას არც შეეძლო თავის ბუნების წინააღმდეგ იმ კითხვების გადაჭრა. მას გონია, რომ ამ კითხვების გადაუჭრელობა უბრალო შეცდომა იყო კოალიციური მთავრობის მხრით.

როგოროლა აპირებენ შეუცდომელი კავკასიელი მენშევიკები ამ კითხვების გადაჭრას? „ჩვენ პეტროგრადში—ამბობს ჟორდანია—დემოკრატიულ საბჭოს სექციებში ვუმტკიცებდით ამხანაგებს, თუ არ ვაწარმოებდით აქტიურ პოლიტიკას ზავის მოსაახლოვებლათ, მიწების ნაწილს მაინც არ გადავსცემდით გლეხებს და სხ. და სხ.—მაშინ მუშების ნაწილი გადავიდოდა ბალშევიკების ბანაკში“.

რა ყოფილან ეს ბალშევიკები? თუ არა მათ შიში, ხელის განძრევას არავინ აპირებს თურმე „ხალხის სასარგებლოთ! ჟორდანია ემუდარება რუსეთის მენშევიკებს,—მივსცეთ რამე ხალხს, თვარა მუშები ჩამოგვშორდებიანო. ვინ ლაპარაკობს ამას: მუშათა პარტიის წარმომადგენელი თუ უბრალო ლიბერალი? მივსცეთ რამე ხალხს, თვარა ხალხი აგვიმხედრდებაო — ლაპარაკობს ჩვეულებრივი ლიბერალი. მივსცეთ რამე ხალხს, თვარა მუშები ჩამოგვშორდებაო—ლაპარაკობს გალიბერალებული სოციალდემოკრატი. რა განსხვავებაა მათ შორის? ბევრი არაფერი. ერთი შიშობს—ხალხი ამიმხედრდებაო, მეორე შიშობს—ხალხი გამოგვყავსო. თვით ხალხის საარსებო ინტერესი არც ერთს არ აღონებს, მათ მხოლოთ საკუთარ ტყავზე ზრუნვა აიძულებთ ხალხსაც ანგარიში გაუწიონ.

სამწუხაროა ის არის, რომ ასეთ სიტყვებს ჟორდანია ლაპარაკობს მუშათა ყრილობაზე, რომელიც მას ყურადღებით უსმენს და ვერ ამჩნევს, რა წმინდა ლიბერალურ პოლიტიკას აწარმოებს მისი ბელადი. „ჩვენ სხვა პოლიტიკას ვადგეთ, ვინემ რუსეთელი ამხანაგები. ბევრი მოგვემხრო ჩვენ, მაგრამ უმრავლესობა არ დაგვეთანხმა“. ესე იგი, ჟორდანიას არ დაეთანხმენ რუსეთელი ამხანაგები იმაშიაც კი, რომ ხალხს მიწის ნაწილი მაინც გადასცემოდა. აშკარაა, ესენი პირდაპირი რეაქციონერები ყოფილან, ისინი არაფერს არ უთმობენ ხალხს ზევიდან, სანამ ხალხი თვით არ გაინთავისუფლებს თავს ქვევიდან. მერე როგოროლა დარჩით ამ რეაქციონერებთან, თქვენ ხომ ლიბერალები მაინც იყავით?

ცოტა რამის დათმობა და რევოლუციაც შეუძლებელი იქნებოდა—აი მენშევიზმის მთელი ფილოსოფია ძირითადი საკითხების გადაჭრის საქმეში. ერთი სიტყვით, რევოლუციონური ხალხის საქმე ერთი ლუკმა პურია, გადაუგდებ,—გაჩუმდება მურია.

ეს ლიბერალური შეხედულება სავსებით დაცული აქვს ჟორდანიას თებერვლის რევოლუციის დაფასებაშიაც. ის სწერს: „ომი რომ დასრულებულიყო, დღეს რევოლუციაც არ გვექნებოდა, შესაძლებელია მხოლოთ მომხდარიყო რამდენიმე საყურადღებო რეფორმა“. გამოდის, რომ მიწის საკითხი, რვა საათის სამუშაო დღე, წარმოების მოწეს-

რიგება მოცლილი ხალხის საქმეა, ან, ჟორდანიას სიტყვით რომ ვთქვათ, მაქსიმალიზმი ჩავარდნილ ხალხის მისწრაფებაა, რომელიც სარგებლობს მით, რომ წინ არაფერი ელობება და განუხორციელებელ მოთხოვნილებებს აყენებს.

ამ ამონაწერში მთელი სიგრძე-სიგანით სჩანს ჟორდანია—ლიკვიდატორი. მან საფუძვლიანათ დაასამარა 1905 წ. რევოლიუცია და იგი ახლა მას მოევლინა სრულიათ მოულოდნელათ, როგორც მეხი მოწმენდილ ამინდში. 1905 წლის პრობლემები რომ გადაუჭრელი დარჩა და შემდეგ ცხოვრებას აუცილებლათ უნდა გაეწია მათთვის ანგარიში, ეს სრულიათ არ მოსდის მას თავში.

ომმა მხოლოთ გაართულა რევოლიუციის პრობლემები და ძველ, გადაუჭრელ საკითხებს ახალიც მიუმატა. ომი რომ დასრულებულიყო, ამით არ „დასრულდებოდა", არ მოისპობოდა ცხოვრების შინაგანი დუღილი, საზოგადოებრივ ძალთა გადაჯგუფება და ჩამოყალიბება, რომელიც ომამდეც სწარმოებდა და ომმა მხოლოთ აჩქარებული ტემპით განაგრძო დიდი ხნის დაწყებული პროცესი. ძველ „წყეულ საკითხებს" უფრო მწვავე ხასიათი მიეცა და მათი გადაუჭრელობა ქვეყანას დაღუპვას უმზადებდა.

ჟორდანიას კი გონია, რომ ომის გათავებით ყველაფერი უცვლელათ დარჩებოდა და თუ მოხდებოდა რაიმე ცვლილება, ის „რამდენიმე საყურადღებო რეფორმას" არ გასცილდებოდა. მერე ვინ მოახდენდა ამ საყურადღებო რეფორმას? ძველი თვით-მპყრობელობა ან და მის მიერ ნებაყოფლობით შედგენილი პასუხისმგებელი სამინისტრო. სწორეთ ასე ფიქრობს დღეს რევოლიუციით თავზარდაცემული ინტელიგენცია. თვითმპყრობელობა რომ არ გაჯიუტებულიყო და მას დროიანათ შეედგინა პასუხისმგებელი სამინისტრო, ყველაფერი რიგზე წავიდოდა და რევოლიუციონურ აფეთქებას ადგილი არ ექნებოდა; თანდათანობით რეფორმებსაც შემოიღებდენ და დამღუპველი ანარქია კი შეუძლებელი გახდებოდა. არა, სულ ზედ-მეტი იყო თებერვლის რევოლიუცია, მარა ის მაინც გამოტყვრა და დაუთარ[illegible] ჭკუიან ინტელიგენტებს!

ეს ჭკუიანები დღესაც ვერ ხვდებიან, რომ არა თუ თვიმპყრობელობა, არამედ ეგრეთ წოდებული, „რევოლიუციონური მთავრობა" სოციალისტებით შეზავებულიც კი უძლური გამოდგა გადაეჭრა ცხოვრების განვითარებით წამოყენებული გადაუდებელი რეფორმები.

უძლურნი საკუთარი ქვეყნის უკვე მომხდარ რევოლიუციის დაფასებაში, ისინი რიხიანათ აცხადებენ, დასავლეთ ევროპაში რევოლიუცია არ მოხდებაო. ეს მათი აზრი სავსებით გამომდინარეობს მათი შეხედულებიდან მსოფლიო ომზე.

## 4. ომის მიზეზები.

მსოფლიო ომი იმპერიალისტურია. აქ ერთმანეთს დაეჯახენ კაპიტალისტური ქვეყნების გაბატონებული კლასები, რომლებიც ერთმანეთს ეცილებიან მსოფლიოზე გაბატონებას, ფინანსიური კაპიტალისთვის ბაზრის დაპყრობას, ეჯიბრებიან ერთმანეთს სუსტი ნაციების დაჩაგვრასა და ქვეყნების დატაცებაში.

შემთხვევითი არ არის ეს ომი, ის აუცილებელი შედეგია თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარებისა, როდესაც გამეფებულია ფინანსიური კაპიტალი. ეს ის საფეხურია კაპიტალიზმისა, როდესაც წარმოების და კაპიტალის კონცენტრაცია ქმნის უდიდეს მონოპოლიებს, ბანკის კაპიტალი ეხორცება სამრეწველო კაპიტალს და საქონლის გატანის ნაცვლათ უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა კაპიტალის გატანას. მაგრამ მონოპოლია ვერ სპობს და პირიქით უფრო ამწვავებს მეტოქეობას და იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს მსოფლიო მეურნეობის სხვა და სხვა ნაწილების უსწორ-მასწორო განვითარებაში. ის მიისწრაფვის მსოფლიო ბატონობისაკენ, იპყრობს ახალ-ახალ ქვეყნებს, მაგრამ მას არ ძალუძს დაამყაროს მე ოქე ძალთა თანასწორობა და რაკი მუდამ იცვლება ძალთა ურთიერთობა, აუცილებელი ხდება მათი შეტაკება.

დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება უპატრონო ქვეყანა, ის მთლათ დანაწილებულია უდიდეს კაპიტალისტურ ნაციათა შორის, მაგრამ ისტორიას არ მიაჩნია ეს დაყოფა გათავებულათ და დაუსრულებლათ სცვლის რა ძალთა განწყობილებას, აუცილებლათ ხდის, რომ ძალამ გადასწყვიტოს სადავო საკითხი.

ომში მონაწილე სახელმწიფოები სხვა და სხვანაირათ არიან განვითარებული წარმოების მხრით, მაგრამ ყველა ისინი აწარმოებენ იმპერიალისტურ ომს, რადგან ყველა მათ აინტერესებს ახალი ქვეყნების დაპყრობა, მსოფლიოზე გაბატონება, სუსტი ნაციების ძალით შეერთება და სხ. ამ მხრით რუსეთიც არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენს, ისიც, როგორც ყველა სხვა სახელმწიფოები, აწარმოებს იმპერიალისტურ ომს.

ნოე ჟორდანიას რუსეთის შესახებ სხვანაირი აზრი აქვს. ის სწერს: „ბევრს ეგონა, ვინაიდან რუსეთიც იმპერიას წარმოადგენს, ცხადია, ისიც აწარმოებს იმპერიალისტურ ომსო. მაგრამ ეს ასე არ არის".

მაშ როგორ არის საქმე? „ამ ომში, რომელიც, (მაშასადამე) წარმოშვა ევროპის სახელმწიფოთა ურთი-ერთობამ, ჩათრეული იქნა რუსეთიც, რომელიც არ არის წარმომადგენელი არც ერთი, არც მეორე სახის კაპიტალისა, რუსეთი ჩამორჩენილია ეკონომიურათ და სამრეწველო ან ფინანსიური კაპიტალის ბატონობაზე აქ ლაპარაკიც მეტია. ცხადია, რუსეთი მოექცა იმ დიდ ბრძოლაში, რომელიც დაიწყო ევროპის ბურჟუაზიამ".

რუსეთი ჩამორჩენილი ქვეყანაა, მასში არ არის გაბატონებული ფინანსიური კაპიტალი და მაშასადამე მას არც შეეძლო ეწარმოებინა იმპერიალისტური ომი. და თუ მაინც იღებს ის მონაწილეობას ამ ომში, ეს ხდება ძალაუნებურათ, ის ჩათრეულია მასში საკუთარი სურვილის წინააღმდეგ.

ასეთია ნოე ჟორდანიას აზრი რუსეთის „არა-იმპერიალისტურ" ომზე. ჩათრევა, რა თქმა უნდა, უცხო ხილი არ არის თანამედროვე ომისთვის. ყველას ახსოვს, რაოდენი ენერგია დაიხარჯა როგორც ერთი, ისე მეორე მეომარი მხარის მხრით თუნდ მარტო საბერძნეთის ომში ჩასათრევათ. მთელი რიგი წვრილი სახელმწიფოებისა მართლა ჩათრეულია ამ ომში. მაგრამ ამ მხრით რუსეთის მათთან გათანასწორება არც ეკონომიური ჩამორჩენის და არც სამხედრო ძლიერების მიხედვით არ შეიძლება. რუსეთი მსოფლიო ომამდე დამოუკიდებლათ აწარმოებდა იმპერიალისტურ ომებს. თვითონ ჟორდანია აღიარებს, რომ იმპერიალიზმი სამგვარია: თვითმპყრობელობის, სამრეწველო კაპიტალის და ფინანსიური კაპიტალის. რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ერთ-ერთი ამ იმპერიალიზმს უეჭველათ ქონდა ადგილი რუსეთში და როცა ის ომში ჩაება, ამით მან აწარმოვა იმპერიალისტური და არა „ჩათრევითი" და ან სხვა რაიმე ფორმის ომი?

გარდა ამისა, რუსეთშიაც საკმაოთ არის საბანკო კაპიტალი განვითარებული. რევოლიუციის დღიდან სწორეთ ამ კაპიტალის წარმომადგენელნი ეურჩებოდენ ომის გათავებას და როგორც ვიცით, გამარჯვებაც მათ რჩებოდა და არა რევოლიუციონურ დემოკრატიას, რომელიც ომის შეწყვეტას მოითხოვდა. ან იქნებ რუსეთის მიზნები განსხვავდებოდენ სხვა ქვეყნების იმპერიალისტთა მიზნებიდან? უკვე გამოქვეყნებული ხელშეკრულობები არავითარ ეჭვს აღარ სტოვებენ იმის შესახებ, რომ რუსეთის ბურჟუაზიას სხვებზე ნაკლები მადა არ ქონია და დარდანელს და კონსტანტინოპოლს ისეთივე წმინდა გულით უპოტინებდა ის ხელს, როგორც სხვები ელზას ლორენს და ბაღდადს.

ადვილი გასაგებია, როცა გაბატონებული კლასები უარყოფენ ამ ომის იმპერიალისტურ ხასიათს და მას ხალხთა განმათავისუფლებელ ან თავდაცვის მიზნებს აწერენ. ამით ისინი ცდილობენ დაფარონ თავისი ავაზაკური, მტაცებლური პოლიტიკა, მაგრამ რათ სჩადის ამასვე ჟორდანია, რათ უარყოფს ის რუსეთის მხრით ამ ომის იმპერიალისტურ ხასიათს?

ჟორდანიას თავისი მიზანი აქვს. ის ამით ცდილობს დაამტკიცოს შემდეგი დებულება: რუსეთის მხრით ეს ომი იმპერიალისტური რომ ყოფილიყო, რევოლიუცია არ მოხდებოდაო. ჩვენ უკვე გავიცანით მისი აზრი თებერვლის რევოლიუციის შესახებ: ომი რომ დასრულებულიყო, რევოლიუციაც არ გვექნებოდაო. ახლა ომის შესახებ გვეუბნება: ეს ომი რომ იმპერიალისტური ყოფილიყო, რევოლიუცია სულაც არ მოხდებოდაო. ის ნათლათ სწერს ამის შესახებ: „ომი ვერ მოთავსდა რუსეთის ცხოვრების ფარგლებში. აქ იჩინა თავი წინააღმდეგობამ. რუსეთს დააკისრა მძიმე ტვირთი, რომლის საზიდავათ მას ძალა არ შესწევდა. ამ წინააღმდეგობამ წარმოშვა თებერვლის რევოლიუცია. ამ ომის წარმოება შეეძლო გერმანიას და ინგლისს, რუსეთის ძალღონეს კი ეს აღემატებოდა. ამიტომ რუსეთში უნდა მომხდარიყო რევოლიუცია, რომ იგი ევროპის სახელმწიფოებს გათანასწორებოდა".

რევოლიუციას უნდა მიეცა რუსეთისთვის ის, რაც მას აკლდა, რომ მოწინავე ქვეყნებს დასწეოდა, ამის შემდეგ ის ნაყოფიერათ განაგრძობდა იმპერიალისტურ ომს ეს იყო თურმე რევოლიუციის ობიექტიური მიზანი. სწორეთ ასე უყურებდა რევოლიუციას რუსეთის ბურჟუაზია და ცდილობდა მის გამოყენებას იმპერიალისტური ომის სასარგებლოთ.

ეს არ მოხერხდა. „ამ საქმეში უტოპისტი აღმოჩნდა ბურჟუაზია, რომელიც ფიქრობდა პოლიტიკური ცვლილების საშუალებით მოეგო ომი. მაგრამ პოლიტიკურ ცვლილებას არ შეიძლო გამოეწვია ცვლილება ეკონომიური". და ამნაირათ პოლიტიკური რევოლიუცია ვერაფერს დაეხმარა ომს, თუმცა მან იგი სწორედ ამ მიზნით გამოიწვია. არა, სრულიათ ზედ-მეტი იყო თებერვლის რევოლიუცია! ომს ვერაფრით დაეხმარა და ომი რომ დროზე გათავებულიყო, უიმისოთაც ქვეყანა იოლათ წავიდოდა!

სრულიათ უადგილო და უნიადაგოა რევოლიუცია დასავლეთ ევროპაშიაც. აი როგორ ასაბუთებს ამ აზრს ჟორდანია: „მსოფლიო ომმა დასავლეთ ევროპაში ვერ გამოიწვია რევოლიუცია; იგი, როგორც ვთქვი, სავსებით მოთავსდა დასავლეთ ევროპის ცხოვრების ჩარჩოებში. აქედან ცხადია, თუ რამდენათ ფანტასტიურია ბოლშევიკების დღევანდელი მტკიცება, თითქოს რუსეთის რევოლიუციას შეეძლოს გამოიწვიოს დასავლეთ ევროპაში სოციალისტური რევოლიუცია".

ვითომ რით არის ევროპა დაზღვეული რევოლიუციიდან? ნუ თუ იქ კი არ ახდენს ომი უდიდეს ცვლილებას როგორც ეკონომიკაში, აგრეთვე აზროვნებაში? ნუ თუ ევროპაში კი არ განიცდის მშრომელი ხალხი გამანადგურებელი ომის მთელ სიმძიმეს? საქმე თურმე იმაშია, რომ ომი სწარმოებს ორ ძალას შუა: ეს არის ფინანსიური კაპიტალი და სამრეწველო კაპიტალი, პირველის წარმომადგენელია გერმანია, მეორესი—ინგლისი. გაიმარჯვებს ან ერთი ან მეორე ძალა. რა შუაშია აქ პროლეტარიატი და საერთოთ მშრომელი ხალხი? ვინ მისცა მას უფლება მოახდინოს რევოლიუცია, როცა ბრძოლა სწარმოებს მისთვის სრულიათ უცხო ძალთა შორის. ამ ბრძოლის გაჩაღება ინება ისტორიამ და პროლეტარიატმა უნდა აცალოს მის გათავებას. ამ დროს რევოლიუციის მოხდენა სხვის საქმეში ჩარევა იქნებოდა. თუ არა ეს, მაშ რა აზრი აქვს იმის მტკიცებას,—ომი სავსებით მოთავსდა დასავლეთ ევროპის ცხოვრების ჩარჩოებშიო?

გაუშინჯოთ კბილი იმ აზრის მტკიცებას, ვითომ ომი სწარმოებს ფინანსიურ და სამრეწველო კაპიტალს შორის. მოხსენების ეს ადგილი მეტათ დამახასიათებელია და ჩვენს თავს ნებას მივცემთ—გრძელი ამონაწერით გავაცნოთ იგი მკითხველს;

„ფინანსიური კაპიტალი, ეს უკანასკნელი საფეხურია კაპიტალიზმის განვითარებისა, პირველი საფეხური, ეს მერკანტილიზმია, მეორე სამრეწველო კაპიტალი და მესამე ფინანსიური კაპიტალი. ინგლისი შერჩა კაპიტალიზმის განვითარების მეორე—საფეხურზე და ამჟამათ ომი სწარმოებს კაპიტალიზმის განვითარების მეორე და მესამე საფეხურებს შორის, ინგლისსა და გერმანიას შორის. თუ ჩავუკვირდებით სხვა მებრძოლ სახელმწიფოების ცხოვრებას, დავინახავთ, რომ აქ განვითარებულია ამა თუ იმ სახის კაპიტალი, ავსტრიაში, მაგ. უფრო განვითარებულია ფინანსიური კაპიტალი, ვინემ ინგლისში, თუმცა ავსტრია შედარებით ჩამორჩენილი ქვეყანაა, საფრანგეთში სამრეწველო კაპიტალი უფრო განვითარებულია, ვინემ ფინანსიური, თუმცა ბევრსა გონია, რომ საფრანგეთი ფინანსიური კაპიტალის ქვეყანაა. ეს შეხედულება გამოითქვა ომის დაწყებამდე და ომმა თავის მხრით დაადასტურა იგი. ომის დროსაც სწარმოებდა გერმანიაში ამ საკითხის გარშემო კამათი. სოციალდემოკრატიული პარტიის მარჯვენა ფრთა ამტკიცებდა რომ ფინანსიური კაპიტალი არის უმაღლესი და პროგრესიული საფეხური კაპიტალიზმის განვითარებისაო. მარცხენა ფრთა კი, კაუცკის მეთაურობით ამბობდა, რომ ფინანსიური კაპიტალი არ არის კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი საფეხურიო. მაგრამ ყველა იზიარებდა იმ შეხედულებას, რომ დღევანდელი ომი გამოწვეულია ფინანსიური კაპიტალის იმპერიალიზმით".

აქედან აშკარაა, რომ ამ ომში დარა-

ულა არა სხვადასხვა ქვეყნების კაპიტალისტური კლასები, რომელთაც ყავს ღმივი მეტოქეობა და რომელთაც ნმოკლე კავშირებში ერთათ თავს რის იგივე ძალა, არამედ სამკვდრო-სიცოცხლოთ დასტაკებია ერთმანეთს პიტალიზმის სხვადასხვა საფეხურები: მრეწველი და ფინანსიური კაპიტალი: ითი დგას საშუალო საფეხურზე, მეორე უმაღლეზე, საინტერესო ის კი არის, რომელი გამარჯვებს მათ შორის ინტერესოა ის, რომ კაპიტალიზმს კიდევ დიდი ხნის სიცოცხლე აქვს, მას ჯერ არ მიუღწევია უმაღლესი საფეხურისთვის, უმაღლესი ახლა იმორჩილებს ჩამორჩენილს. რა ხელი აქვს ამ როს რევოლუციას, რომელიც უეჭველათ სოციალისტური უნდა იყოს, როდესაც კაპიტალიზმს ჯერ არ გაუთავებია თავისი განვითარება, ჯერ არ მომწიფებულა, რომ სოციალიზმში გადასვლა შესაძლო იყოს! ჯერ უნდა დათავდეს ეს ბრძოლა და როდესაც ფინანსიური კაპიტალი მთელ ქვეყნათ გაბატონდება, მაშინ შეიძლება დაისვას საკითხი რევოლუციის შესახებ!

...მსჯელობს ჟორდანია და ოსტატურად აწყობს საფეხურების ბრძოლას. ინგლისი სამრეწველო ქვეყანაა, გერმანია ფინანსიური; საფრანგეთი უფრო სამრეწველო ქვეყანაა, ვიდრე ფინანსიური და როგორც რიგი და წესია ინგლისთან ერთათ ომობს; ავსტრია უფრო ფინანსიური ქვეყანაა და მოკავშირეთაც ფინანსიური გერმანია მოუნახავს. იბრძვიან ეს ქვეყნები და მათი სახით ბრძვიან კაპიტალიზმის სხვა და სხვა საფეხურები. ინგლისის მეთაურობით სამრეწველო კაპიტალი ებრძვის ფინანსიურ კაპიტალს, რომელსაც გერმანია მეთაურობს. მოსაწონებელი სურათია! მაგრამ ერთი ხინჩი ახლავს მას, რომელიც მეტათ აფუჭებს შთაბეჭდილებას. რა ვუყოთ ამერიკას, რანაირათ ჩავტიოთ ის საფეხურებში, რომ არც ინგლისს ულალატოს და არც თავისი კაპიტალის ბუნებას?

როგორ მოხდა, რომ უაღრესათ ფინანსიური კაპიტალის ქვეყანა — ამერიკა აღმოჩნდა ფინანსიური გერმანიის მოწინააღმდეგე ბანაკში?

საქმე იმაშია, რომ ამერიკას ჟორდანიას პრინციპის გამარჯვება კი არ აინტერესებს, არამედ საკუთარი გაბატონება, ამისთვის კი საუცხოვო საშუალებაა გერმანიის შემუსვრა, რითაც მას ძლიერი ფინანსიური მეტოქე ჩამოსცილდება.

ამერიკა არღვევს ჟორდანიას გეგმას. მით უარესი ამერიკისთვის!

მ. ტოროშელიძე.

(შემდეგი იქნება).

## წითელი რაზმი.

ღელავს ქალაქი... ქუჩიშვილთა წითელი რაზმი
მოდის, ყიჟინებს სანეტარო მზით ნაიაზმი.

და ის ნათლული ერთა-ძმობის მოაპობს არეს
მოძმეთ უმზადებს სამოთხესა, მტრებს-კი სამარეს.

თავისუფლების მედროშეთა—მღერს მაყრიონი,
უკან მოჰყვება გმირ გვარდიელთ მძლე ლეგიონი!..

ს. ერთაწმინდელი.

## ...ის პირველი კონფერენცია ...ს. დ. მ. პ. ბოლშევიკებისა

### კონფერენციის მეორე დღე.

კრება იხსნება დილით 10 საათზე. ამ ...ოს გამოცხადდა ამხ. ალექ. ერქომაიშვილი, რომელიც პირველ დღეს კრებას ...დასწრებია. თავმჯდომარის ამხ. ფ. ...ოშელიძის წინადადებით ალ. ერქომაიშვილს კრება ირჩევს საპატიო თავმჯდომარ... შემდეგ გადადის მორიგ კითხვაზე...

...მომხსენებელი, ა. ერქომაიშვილი, რომელიც ყოფს ამ საკითხს ორ ნაწილათ: რევოლუცია რუსეთში და კონტრრევოლუცია კავკასიაში. ის ამბობს, რომ მეორე რევოლუციას მოყვა შედეგათ მუშების და ღარიბი გლეხების გამარჯვება რუსეთში. ამ გარემოებამ ავტორიტეტი დაუკარგა ხალხში ეგრეთ წოდებულ „სოციალისტურ" პარტიებს, რომელიც რევოლუციის პირველ დღეებიდან ბურჟუაზიასთან ერთათ თანამშრომლობას ეწეოდენ. ამას ჩადიოდა მენშევიკების და ესერების პარტია. მათმა თანამშრომლობამ ხალხის მოსისხლე მტრებთან მოგვცა ის, რომ არც ერთი საკითხი რევოლუციის მიერ წამოყენებული არ გადაწყვეტილა რვა თვის განმავლობაში.

იმპერიალისტურ ომს ბურჟუაზია ძველებურათ აწარმოებდა „სოციალისტების დახმარებით. მიწები ხელ უხლებელი დარჩა. მუშების კონტროლს წარმოებაზე გაურბოდენ. ძალა-უფლება ბურჟუაზიის ხელში იყო, ასეთმა მდგომარეობამ არამც თუ ვერ ჩამოაგდო შეთანხმება სხვადასხვა კლასთა შორის, არამედ უფრო გაამწვავა კლასიური ბრძოლა, რომელმაც მიგვიყვანა ჩვენ რუსეთის მეორე რევოლუციამდე. ვისაც არ სწამს მეორე რევოლუცია, ის ანგარიშს არ უწევს არსებულ კლასიურ ბრძოლის პროცესს. ის ძირიანათ უარყოფს მარქსიზმს.

მეორე რევოლუციის გამარჯვება კოალიციის, ე. ი. კლასთა შეთანხმების, სამუდამოთ დამარცხებას ნიშნავს. კოალიციის დამარცხება კი მენშევიკების და ესერების ტაქტიკის გაკოტრებას მოასწავებს. აი სწორეთ ამით აიხსნება ამიერ კავკასიაში კოალიციონური მთავრობის შედგენა კომისარიატის სახით. რუსეთში დამარცხებულმა კოალიციამ ამიერ კავკასიაში ამოყო თავი. ამას ხელი შეუწყო პროლეტარიატის სიმტკიცემ ჩვენში.

მომხსენებელი ვრცლათ ეხება ამიერ კავკასიის მთავრობის ისტორიას და მის შემადგენლობას და ამბობს, რომ რუსეთის რევოლუციონურ მუშების და გლეხების მთავრობასთან კავშირის შეწყვეტა ნიშნავს რევოლუციის ღალატს. სანამ რუსეთში ბურჟუაზიული მთავრობა ბატონობდა, ჩვენი მენშევიკები მას მხარს უჭერდენ და მასთან კავშირს არ სწყვეტდენ. დღეს კი სხვა რამეს ვხედავთ, რუსეთთან ჩამოშორების პოლიტიკამ და ნაციონალური ჯარის შედგენამ გამოიწვია რუსეთის ჯარის სახლში წასვლა. ვინ აწარმოებს ამ ნაციონალისტურ პოლიტიკას ჩვენში? რასაკვირველია ამ პოლიტიკას აწარმოებს სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტები მენშევიკებთან ერთათ—თავის თავათ ცხადია; ამ პოლიტიკას არავითარი დამოკიდებულება არ აქვს ერების თვითგამორკვევის პოლიტიკასთან. ეს არის მხოლოდ ერთნაირათ იარაღი გლეხების და მუშების მთავრობის საწინააღმდეგოთ მიმართული. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია თამამათ ვსთქვათ, რომ ამ პოლიტიკას აქვს ერთნაირი დამოკიდებულება კალედინის კონტრ-რევოლუციონურ პოლიტიკასთან ჩრდილოეთ კავკასიაში.

ეს თქვენთვის ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ მიაქცევთ ყურადღებას მენშევიკების მსოფლ-მხედველობის გამომხატველ გაზეთს—„ერთობას". ერთობის 208 ნომერში მოწინავე წერილი შემდეგით თავდება, რევოლიუციონური დემოკრატია ვალდებულია მათ (ე. ი. ბოლშევიკებს) ღირსეული პასუხი გასცეს და პროვოკატორთ თავისი კუნჭული მიუჩინოს. აქ არავითარ დათმობას ადგილი არ უნდა ქონდეს."

იგივე ნომერი გვაწვდის ჩვენ მესამე გვერდზე ცნობას: „6 ნოემბერს ნოვოჩერკასკში დაიწყო ყაზახთა 12 მომქმედ ჯარის წარმომადგენელთა კრება. გენერალ კალედინმა სხვათა შორის სთქვა „ბოლშევიკებთან ბრძოლაში ნეიტრალიტეტს ადგილი არ უნდა ქონდეს"

აქ ჩვენ შეგვიძლია ცათმობის გზას დავადგეთ და მივუმხროთ ერთობას იმაში, რომ კალედინის და ერთობის მისწრაფებები ერთი მეორისგან არაფრით არ განსხვავდება,

კონფერენციამ დიდის ყურადღებით მოისმინა ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება და ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„რევოლიუციის პირველ დღეებიდან ოცდა ხუთ ოქტომბრამდე რუსეთში ფაქტიურათ ბატონობდა ბურჟუაზიული მთავრობა. მთელი ამ ხნის განმავლობაში გამოირკვა წვრილი ბურჟუაზიული პარტიების—მენშევიკების და ესერების—ტაქტიკის უვარგისობა. კოალიციონური მთავრობა, რომელშიაც შედიოდენ როგორც მენშევიკების ისე ესერების პარტიის წარმომადგენლები, აწარმოებდა იმპერიალისტურ ომს ძველებური მიზნით და მეთოდით ზავის ჩამოსაგდებათ მუდმივი ნაბიჯის გადადგმის მაგივრათ აცხადებდა შეტევას, მიწებს ტოვებდა ხელუხლებლათ მემამულეების ხელში.

ასეთი მდგომარეობა კლასთა ბრძოლას დღითი დღე ამწვავებდა და თან და თან უმზადებდა ნიადაგს მეორე რევოლუციას, რომელიც უკვე მოხდა 25 ოქტომბერს და რომელსაც მოყვა შედეგათ მუშების და გლეხების გამარჯვება ამ ჟამათ ჩვენი რევოლიუციონური ტაქტიკა გამართლდა ცხოვრებაში. მუშების და გლეხების მთავრობამ უკვე გადადგა მედგარი ნაბიჯი ზავის ჩამოსაგდებათ. მიწების შეს-ხებ გამოსცა შესაფერი დეკრეტი და სხვა.

ამიტომ,

1, ჩვენ მოუწოდებთ ამხანაგებს დაემორჩილონ მხოლოთ გლეხების და მუშების მთავრობას, რომელიც სასტიკათ ებრძვის იმპერიალისტურ ბურჟუაზიას მშრომელი ხალხის სასარგებლოთ, და მიიღონ ყოველივე ზომები გაურკვიონ ხალხს და გაატარონ ცხოვრებაში მის მიერ გამოცემული დეკრეტები.

ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ მეორე რევოლიუციის გამარჯვებას მოყვება შედეგათ სოციალისტური მოძრაობა ევროპის მოწინავე ქვეყნებში, რომელიც ალაგმავს საქვეყნო იმპერიალისტურ ბურჟუაზიას და მით ომს ბოლოს მოუღებს.

2, ცენტრალურ მთავრობასთან კავშირის შეწყვეტა და ამიერ-კავკასიის მთავრობის შედგენა ხალხის დაუკითხავათ მოასწავებს რევოლიუციის ღალატს, ერის თვით გამორკვევის საკითხის მნიშვნელობის დამახინჯებას და ხამოქალაქო ომის ნიადაგის მომზადებას ჩვენში. ამიტომ ჩვენ უცხადებთ უნდობლობას ამიერ-კავკასიის კომისარიატს და მოვითხოვთ გადასცეს მთავრობა ამიერ-კავკასიის გლეხების, მუშების და ჯარის კაცების საბჭოებს, რომელნიც წარმოადგენენ ერთათ ერთ რევოლიუციის დამცველ ძალას.

3. ძველი მთავრობის მომხრე კონტრრევოლიუციონერები, რომელნიც დამარცხდენ რუსეთში მეორე რევოლიუციის დროს, იკრიბებიან კალედინის გარშემო და მოქმედებენ სისხლით მოპოებულ თავისუფლების გასანადგურებლათ და ძველი რეჟიმის აღსადგენათ. ამიტომ მოუწოდებთ ამხანაგებს აუხსნან ხალხს მდგომარეობის მნიშვნელობა, რომ მოითხოვონ სამხედრო ძალების გაგზავნა კალედინის დასამარცხებლათ ჩრდილოეთ კავკასიაში.

4, ჯარების ნაციონალიზაციამ, რომელსაც უდგანან სათავეში ცნობილი ობორონცები-მენშევიკები, გამოიწვია ის, რომ რუსეთის ჯარის კაცებმა მიატოვეს ფრონტი. ეს გარემოება კი საფრთხეს უმზადებს ამიერ-კავკასიას. მიუხედავათ ამისა სხვადასხვა ჯურის ობორონცები ყოველივე საშუალებით ცდილობენ გაიმართლონ თავი ხალხის წინაშე. ჩვენი ამხანაგების მოვალეობაა—გამოააშკარავონ მოწინააღმდეგეების ნაციონალური პოლიტიკა და უჩვენონ საზოგადოებას სწორი რევოლიუციონური გზა.

კრება შემდეგ გადადის მორიგ საკითხზე დამოკიდებულება სხვადასხვა პარტიებთან. მოხსენებას აკეთებს ამხ. ფ. ცხომელიძე. მცირე კამათის შემდეგ კრება ადგენს: „შესწყვიტონ ყოველივე კავშირი „ობორონცულ პარტიებთან (მენშევიკებთან და მემარჯვენე ესერებთან) და იქონიონ დამოკიდებულება ამ პარტიების ინტერნაციონალურ ნაწილებთან, იმდენათ—რამდენათაც ისინი ორგანიზაციულათაც გასწყვეტენ კავშირს ობორონცებთან. შემდეგ საკითხზე—ჩვენი პრესა—კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა: რომ დახმარება გაეწიოს ჩვენს პრესას ყოველნაირი, მასთან დაევალა ყველა ჩვენს ამხანაგებს გაავრცელონ ჩვენი გაზეთები: „ბრძოლა" „მესამე ინტერნაციონალი", „კავკ. რაბოჩი" და ბურევესტნიკი", გარდა ამისა მიაწოდონ რედაქციებს პროვინციებიდან კორესპოდენციები ღარიბეს გლეხთა და მუშათა ცხოვრებიდან.

შემდეგი საკითხი იყო: „ორგანიზაცია" რომელმაც უფრო დააინტერესა ამხანაგები. ბევრი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კონფერენციამ დაადგინა: ვინაიდან ქ ოზურგეთი ითვლება გურიის ცენტრათ და აქ არის ყველა მოწინააღმდეგე პარტიათა ცენტრები, ბოლშევიკების ცენტრიც ქ.ლ. ოზურგეთში დარჩეს, სადაც მოთავსებული იქნება პრეზიდიუმი გურიის ცენტრალური კომიტეტისა.

შემდეგ კრება, ირჩევს ცენტრალურ კომიტეტის მოწყობის საკითხს. გაარკვია რა კონფერენციამ ყველა ტეხნიკური მხარეები, დაადგინა: რომ ცენტრალურ კომიტეტში იყოს რაიონული წარმომადგენლობა წევრთა.

შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა ცენტრალურ კომიტეტის კასაზე და დაადგინა, რომ თვითეული რაიონიდგან გზავნებოდეს ცენტრში 30 პროც. (აქედან 10 პროც გაეგზავნება საოლქო კომიტეტს თფილისში).

უკანასკნელი კითხვა იყო პარტიის-წევრების მიღება და საწევრო გადასახადი. პირველის შესახებ კრება არდგენს, რომ წევრთა მიღება იყოს შემდეგი წესით: თითოეულ ახალ წევრს უნდა ყავდეს ორი პარტიის წევრი თავდებათ, რომელსაც იაჩეიკის მდივანი აცხადებს საზოგადო კრებაზე. თუ ვისმეს ეჭვი შეუდის ახალი წევრის ზნეობრივ მხარეში, მაშინ ინიშნება კომისია საქმის გამოსარკვევათ. თუ არავის წინააღმდეგობას არ აცხადებს, იმ შემთხვევაში კრება (იაჩეიკის) ღებულობს მას წევრათ.

კითხვის მეორე ნაწილზე კრებამ დაადგინა თითოეული ახალ მოსული წევრებისთვინ: პარტიაში შემოსასვლელი—ქალაქში მცხოვრებთათვის 50 კაპ. თვიური საწევრო, 40 კაპ. სოფლელებისათვის—შესასვლელი 25 კაპ. და საწევრო—თვიურათ 20 კაპ.

საკითხები სულ ყველა გაირკვა. კრება დაიხურა ნაშუადღევის 4 საათზე. როგორც მოხსენებებიდან გამოირკვა გურიაში ყოფილან შეკავშირებული ხუთასამდე პარტიის წევრები.

ვუსურვებ ამხანაგებს მეტ ენერგიას მშრომელი მასსის ინტერესების მედგრათ დაცვას და სიყვარულს ხალხისადმი. ჩვენი პარტია არასოდეს ღარიბ ხალხს არ დაშორებია, მისთვის იტანჯებოდენ ციხეებში და კვდებოდენ სიმშილით და სიცივით ციმბირის ტყეებში საუკეთესო ჩვენი ამხანაგები. ებრძოლეთ იმ „სოციალისტებს“, რომელნიც მარქსისტებათ ინათლებიან და რომელნიც კრიტიკულ ხანაში ტოვებენ მუშა კლასს და ბურჟუაზიულ ბანაკში გადადიან.

გაიხადეთ ლოზუნგათ შემდეგი სიტყვები: „მუდამ ვიბრძოლებთ თავ განწირვით, ვიდრე ჩვენს ცაზე არ გამოჩნდება გამარჯვების ცისკარი.“

ხ. კეხაშვილი.

---

## კავკასიის ფრონტიდან.

უეჭველია, მოდის თქვენამდე ცნობები, რომ კავკასიის ჯარი დაიძრა ფრონტიდან თავის ნებით, სტოვებს პოზიციას და მოდის უკან; თუ ეს სტიქიური უკან დახევა არ იქმნა შეჩერებული, მდგომარეობა პირდაპირ კატასტროფულ ხასიათს მიიღებს, როგორც ჯარისათვის, ისე კავკასიის ადგილობრივ მცხოვრებთათვის. ამ უბედურების მიზეზი არის კავკასიის მენშევიკების და ესერების ტაქტიკა. ჯარი აღშფოთებულია ამიერ კავკასიის რუსეთიდან გამოყოფით და არ სცნობს კავკასიის ცალკე მთავრობას. ამავე დროს ჯარი არ არის დაკავშირებული რუსეთის მუშათა და გლეხკაცობის მთავრობასთან. ჯარმა აგრეთვე ზურგი შეაქცია მენშევიკების და ესერების ადგილობრივ ორგანიზაციებს, ხოლო ბოლშევიკების ორგანიზაციები ვერ არის საკმაოთ მთმაგრებული. ამნაირათ ჯარისთვის აღარ არსებობს აღარავითარი მთავრობა და აღარც ჯარის რევოლიუციონური ორგანიზაციები. ეს გარემოება ქმნის ანარქიის და უთავბოლობას. ამით სარგებლობენ ბნელი ძალები და ჯარში ეწევიან შავრაზმულ პრავაკაციას. ეუბნებიან ჯარის კაცებს-რომ ამიერ კავკასია უკვე გამოეყო რუსეთს და ჩვენი საქმე არ არის იმისი დაცვაო, მოვიდენ სომხები და ქართველები და იმათ დაიცვან თავისი ქვეყანა. როგორც ხედავთ მენშევიკების სეპარატიზმი კავკასიის ჯარში გზას უკაფავს შავრაზმელებისა ონტრ-რევოლიუციონერების აგი[...] პირ-

დაპირდება ერთმანეთს რუსეთის ჯარი და ადგილობრივი ერები, ხსნა მხოლოთ ერთათ ერთშია: რაც შეიძლება საჩქაროთ ბოლო უნდა მოეღოს მენშევიკების და ესერების ავანტიურისტულ ტაქტიკას და კავკასია საჩქაროთ უნდა დაუკავშირდეს რუსეთის საბჭოთა მთავრობას.

დიდ ხიაადაგს პოულობს აგრეთვე ყოველგვარი შოვინისტური აგიტაცია ქართველ ჯარის კაცებში მას შემდეგ, რაც ქართველი მენშევიკები რუსეთის მუშებსა და გლეხ-კაცობას გამოეთიშენ და ქართველ ბურჟუაზიასთან, მებამულეებსა და სამღვდელოებასთან ბლოკი შეკრეს აქაც პირველ კორპუსში მენშევიკები დაუკავშირდენ ფედერალისტებს, ნაციონალ-დემოკრატებს და საერთოთ ყველა ჯურის ქართველ შოვინისტ აფიცრებს. ამ კავშირის ერთი მიზანთაგანია გამოყოს ქართველი ჯარის კაცები მთელ კორპუსში სხვა ეროვნების ჯარის კაცებს და შეადგინონ ცალკე ქართული პოლკები. ამ აზრით აირჩიეს კომისია, რომელიც დადის კორპუსში ქართველ მხედართა კავშირის სახელით და ეწევიან ყოვლათ საზიზღარ აგიტაციას და დემაგოგიას ბოლშევიკების წინააღმდეგ. სხვათა შორის არწმუნებენ ქართველ ჯარის კაცებს, რომ ბოლშევიკების მეთაურობით რუსის მუშებმა და ჯარის კაცებმა ვითომ უკვე დაანგრიეს მთელი რუსეთის ქალაქები და ახლა აპირებენ თფილისის და საქართველოს დანგრევასო. ამიტომ საჭიროა საჩქაროთ გამოეყოთ რუსებს, შეადგინეთ ცალკე პოლკები და გასწიეთ სამშობლოს დასაცავათ. პროვოკაცია აშკარაა. მზადდება ნიადაგი სხვადასხვა ერის ჯარის კაცების გათიშვისა და ერთმანეთთან შეტაკების როგორც რუსები ისე ქართველები დიდ საგონებელშია ჩავარდნილი. ბევრ ადგილას ქართველი ჯარის კაცები ცალკე ნაწილების შედგენაზე უარს ეუბნებიან კომისიას.

გაცნობებთ აგრეთვე, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგი კავკასიის ფრონტზე დღეს სრულიათ არ შესაბამება ხალხის პოლიტიკურ განწყობილებას. ხმის მიცემა ფრონტზე უმეტესათ სწარმოებდა ნოემბრის პირველ რიცხვებში, როცა ბოლშევიკებს სასიკვდილოთ დასდევდენ, დღეს კი ჯარის კაცთა თანაგრძნობა თითქმის მთელათ ბოლშევიკების მხარეზეა.

აგრეთვე ვერ ხატავს ჯარის განწყობილებას არმიის დელეგატთა ყრილობა, რომელიც ამ ჟამათ შემდგარია არზრუმში. როგორც ვგებულობთ, ყრილობაზე უმრავლესობას ისევ ესერები და მენშევიკები შეადგენენ, მაშინ როცა ჯარში მათ აღარავითარი გავლენა აღარ აქვთ. უმრავლესობა მაგათი მოხვდა ყრილობაზე ხელოვნურათ: მასსამ არ იცოდა დელეგატებს რისთვის და რა აზრით ირჩევდენ. საუბედუროთ ჯარში ჯერ კიდევ არ მომხდარა ორგანიზაციების ხელ ახალი არჩევნები. ამიტომ ძველი ორგანიზაციები უმეტესათ მენშევიკების და ესერების ხელშია. ამ გარემოებით ისარგებლეს: ჩუმათ იბარებდენ თითო—ოროლა ამომრჩეველს და მალულათ, ხალხის ზურგს უკან გაყავდათ თავისი დელეგატები ყრილობისათვის.

როსტომი.

---

## დეპეშა.

ყველა რკინის გზის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სხ. და სხ. ოცდა რვა დეკემბერს მთელი რუსეთის საგანგებო სიეზდზე არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი 16 კაცისაგან. თავმჯდომარეთ ბოლშევიკი ჟუკი, თავმჯდომარის ამხანაგებათ მემარცხენე ესერი ბრაუნი, ინტერნაციონალისტები გრადოვი მატვეევი, ესერი მიქელაძე და 11 მდივანი—სამი ბოლშევიკი, ორი მემარცხენე ესერი ორი ინტერნაციონალისტი, სამი ესერი და ერთი მენშევიკი.

ვიკჟელის მოხსენების და პოლიტიკური მომენტის განხილვის შემდეგ სიეზდი შეუდგება დადებით მუშაობას რკინის გზის მეურნეობის სფეროში, კავშირის პროფესიონალური შენების საქმეში, გადაშინჯავს შრომის დაჯილდოვების საკითხს და აგრეთვე სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია რკინის გზის მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრებასთ ნ.

სიეზდის თავმჯდომარე ჟუკი.

მდივანი კირხანოვი.

---

„ბრძოლის“ რედაქციის შენიშვნა: მენშევიკები ამ დეპეშასაც უმალავენ ხალხს ისე, როგორც სხვა საყურადღებო დეპეშებსაც.

---

## რუსეთის ქრონიკა.

**დამფუძ კრება და მემარჯვენე ესერები**

პეტროგრადის გაზეთებს ატყობინებენ, რომ მემარჯვენე-ესერების დამფუძნებელი კრების ფრაქციამ გადასწყვიტა რათა უნდა დაჯდეს დამფუძნებელი კრება 5 იანვარს გაიხსნას.

**პეტროგრადის სახელმწიფო ცნეტრში.**

პეტროგრადში სახელმწიფო თეატრის კანტორა როგორც იუწყებიან, სახალხო კომისარების წარმომადგენლებმა დაიკავა ყველა მოსამსახურეები, ალბათ საბოტაჟის გამო, ადგილიდან გადააყენა. მსახიომთა კრებამ დაადგინა განაგრძონ წარმოდგენების მართვა კომისარების დამოუკიდებლათ; და თუ მათ საქმეში მთავრობა ჩაერევა მაშინ ისინი გაფიცვას გამოაცხადებენ.

---

## საზღვარ-გარეთ.

**ინგლისი და რუსეთის რაბჭოთა მთავრობა.**

ერთი ინგლისური გაზეთის გადმოცემით ინგლისის მთავრობა ჯერ-ჯერობით ვერ ბედავს რუსეთის საბჭოთა მთავრობა ცნოს, რადგან იმედი არა აქვს, რომ იგი საბოლოვოთ გაიმარჯვებს რუსეთში.

მეორე გაზეთი კიდევ დაწვრილებით გადმოგვცემს ინგლისის რუსეთელ ელჩისა, ბუკენენსა და სტოკჰოლმის კორესპონდენტს შორის ნალაპარაკევს.

რუსეთში კარგათ ცნობილმა ბიუკენენმა, ამ ინგლის-ამერიკის კაპიტალის ერთგულმა აგენტმა, კორესპონდენტს განუცხადა თურმე, რომ მას არ სწამს რუსეთის დღევანდელი დროებითი მთავრობა ნებაყოფილობით ამოიცვალოს, ვინაიდან რუსეთში ახლა არაა ისეთი პარტია, რომელსაც შეეძლოს საკუთარი ძალღონით ბოლშევიკების გადაყენება მათი პოზიციიდან. რუსის ხალხი მოიქანცა და ახლა ზავს თხოულობს, ინგლისს კი არ შეუძლია იცნოს ბოლშევიკური მთავრობა. თუმცა ახლანდელი მთავრობა გამაგრებულია თავის პოზიციაზე და ძალა უფლება ხელთ უპყრია, მაგრამ ისიც უნდა მივიღოთ სახეში, რომ მთელი სამხრეთ რუსეთი მ ს არა სცნობ და საკუთარი გზით მიდის; ამიტომ ვიდრე დროებით მთავრობას მთელი რუსეთი არ იცნობს, მანამ მას ვერც ინგლისი მიიღებს.

დღის თუმცა ნაკლებათ საიმედოა, მაგრამ მომავალში საბჭოთა მთავრობა უთუოთ ფეხს მოიდგამს და რუსეთის ნამდვილი წარმომადგენლის ადგილს დაიკავებს მიუხედავათ დამფუძნებელი კრების შედგენისა. ასე წინასწარმეტყველობს ინგლის-ამერიკის კაპიტალის მტკიცე წარმომადგენელი და ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლის ამერიკის ბურჟუაზიული საზოგადოება მზათაა დროზე ანგარიში გ უწიოს რუსეთის დიად რევოლიუციას.

**მოკავშირე სახელმწიფოები და ზავზე მოლაპარაკება.**

ზავზე მოლაპარაკებისათვის დადებული ვადა. ათი დღე უკვე გავიდა მაგრამ მოკავშირე სახელ. მთავრობის მხრით დღემდე არაფერი ისმის: არც თანხმობა და არც უთანხმოება. თუ ხალხის „დუმილობას —„ სიჩუმე თანხმობის ნიშანია“ სახეში მივიღებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნებით თანახმა თუ არა უნებლიეთ მაინც უნდა დათანხმდენ რუსეთის დელეგაციის წინადადებაზე.

**ფინლიანდიის დამოუკიდებლობა**

როგორც გაზეთებს აუწყებენ საფრანგეთმა და გერმანიამ ფინლიადიის დამოუკიდებლობა სცნო.

---

## ბრძოლის ფონდი.

დ. ჩხარი. (შორაპნის მაზრა) დღევანდელ საზარელ სიძვირის დროს ბოლო არ მოეღოს იაშვრალთა და წამებულთა ინტერესების მედგარ დამცველს მუშათა ჭირ ვარამის და გულ-ნადების გამომხატველ გაზეთს „ბრძოლის“ არსებობას, რომ ბოლო არ მოეღოს და მით არ შესწყდეს ქართველ დემოკრატიის მაჯის ცემა, მე ვიხდი ჩემს ზნეობრივ ვალს პ ტივცემულ რედაქციის წინაშე. რომელიც ფინანსიურათ კრიტიკულ მდგომარეობაშია და ვუგზავნით ჩემს მცირე წვლილს 2 მან. ფონდის სასარგებლოთ პატივის ცემით.

არმენაკ ხ რაზიანცი.

---

ქ. ლანჩხუთიდან მივიღეთ „ბრძოლის“ ფონდის სასარგებლოთ მიხა ბ. ჩუბინიძისაგან—3 მან.

— მივიღეთ თფ. მეორე რაიონის ბოლშევიკურ კომიტეტისაგან ამხ. ხ. მაყაშვილისაგან შემოტანილი—10 მან.

---

ლადო სუხიშვილისაგან 3 მან.

---

გარდაცვალებულ ალექსი ლომაზაშვილის ხსოვნის აღსანიშნავათ მისი ამხანაგებისაგან შევოვიდა შემოწირულება გაზ. „ბრძოლის“ ფონდის გასაძლიერებლათ 10 მანეთი.

---

ალექსანდრე ალავიძემ გაუწერა ჩვენი გაზეთი ექვსი თვის ვადით ალპანსკის (ლეჩხუმის მაზრა) ბიბლიოთეკა-სამკითხველოს.